

საზოგადოებრივი გამომცემლობა სა.გა.

ჯიბის წიგნის სერია 6

მედია – კულტურა – საზოგადოება

აბას ქიაროსთამი, დაბადებული 1940 წელს, თეირანში – ირანელი კინორეჟისორი და მხატვარი. სწავლობდა თეირანის უნივერსიტეტში ნატიფ ხელოვნებათა ფაკულტეტის ფერწერის განყოფილებაზე. სწავლის შემდეგ მუშაობდა ილუსტრაციებზე საბავშვო წიგნებისათვის, რასაც დღემდე აგრძელებს; კინოგაქირავებისთვის ქმნიდა კინოპლაკატებს; 1960-69 წლებში მოამზადა 150-ზე მეტი სარეკლამო რგოლი. 1970 წელს ირანის ბავშვთა და მოზარდთა ინტელექტუალური განვითარების ინსტიტუტის დაკვეთით გადაიღო პირველი მოკლემეტრაჟიანი ფილმი »პური და ვიწრო შესახვევი«; 1974 წელს – პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი »მოგზაური«. 1999 წელს აქვეყნებს ლექსების კრებულს »ქარის მხარდამხარ« (წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილი ლექსები). დღეისათვის გადაღებული აქვს 38-მდე ფილმი. მისი სცენარები და ზოგიერთი ფილმი სხვადასხვა დროს აკრძალული იყო ირანის მთავრობის მიერ ირანში საჩვენებლად. მისი ფილმებია: »სად არის მეგობრის სახლი?« (*Khane-ye doust kodjast?*, 1987); »Close Up« (*Nemaye Nazdik*, 1990); »ზეთისხილის ხეების ქვეშ« (*Zire darakhshan zeyton*, 1994); »ალუბლის გემო« (*Ta'm e guilass*, 1997); »ქარი წაგვიღებს« (*Bad ma ra kha-had bord*, 1999); »Ten« (*Ten*, 2002) და სხვა.

ქარის მხარდამხარ

აბას ქიაროსთამი

თბილისი, 2010

ტექსტის სათაური ორიგინალში:

عاب رسای سمت

ფოტოები იბეჭდება შემდეგი გამოცემების მიხედვით:

Abbas Kiarostami, Photographies. Publisher: Hazan (Fernand) Editions, France 1999. Iranian Photography Now, Publisher: Hatje Cantz Verlag, Germany 2008.

თარგმანი სპარსულიდან:	გიორგი ლობჟანიძე
ნახატი გარეკანზე:	მაია სუმბაძე
დაკაბადონება და	
გამომცემელი:	სოსო დუმბაძე

პირველი გამოცემა, 2010

ISBN 978-9941-0-1396-6

ყველა უფლება დაცულია

© საზოგადოებრივი გამომცემლობა სა.გა., 2010

www.sa-ga.org

ქარის მხარდამხარ

როდესაც¹ ირანულ კულტურაზე ჩამოვარდება 255 საუბარი, დასავლეთის კულტურის კრიტიკოსები, თვით ფელეტონისტებიც კი, ერთი მეორეზე აღტა-ცებულ და დადებით რეაქციებს ვერ მალავენ. ისინი შეიძლება ეთანხმებოდნენ კიდეც იმას, რომ ირანის პრეზიდენტი, აჰმადინეჟადი, უკულტურო პროლეტარია, მაგრამ მას თურმე არაფერი ჰქონია საერთო დღევანდელი ირანის კულტურასთან. არადა, ირანული კულტურის ნაწარმი პლურალისტურად და კრიტიკულად სწორედ ევროპიდან წარმოჩნდება – თვითგამოხატვის სუბვერსიული საშუალებების გაშმაგებული ძიება თავად ევროპული ნატვრების შედეგია და იგი, თავის მხრივ, უკვე კარგა ხანია, რაც იქცა ირანული კულტურის ექსპორტის სტრატეგიის ზედმინევნით გათვლილ ელემენტად.

ევროპული ნატვრები

2007 წლის დეკემბერს ბერლინის ერთ-ერთ უბანში, ბერლინ-მითეში, »ციცეროს« გალერეაში გა-

1 სტატია გამოქვეყნდა უურნალში Extrablatt, Nr. 3, 2008.

მართულმა გამოფენამ სახელწოდებით »მეიდ ინ თეჰერან« სწორედ მსგავსი რეაქციები გამოიწვია. ექვსმა ახალგაზრდა ირანელმა ფოტოგრაფმა ქალმა წარმოადგინა თავისი ნაშრომები ამ »პოლიტიკურ გალერეაში«. გამოფენის ანონსში ხელოვან ქალებს მრავალმნიშვნელოვნად »ისლამური რევოლუციის პირმშობად« იხსენიებდნენ; პირმშობად, რომლებიც ამ უკანასკნელს (ისლამურ რევოლუციას) კი არ შეუსანსლავს, არამედ, პირიქით – როგორც გვამცნობს ბროშურა – სწორედ ირანული კულტურის სახელმწიფო მხარდაჭერის საფუძველზე მისცემიათ მათ საშუალება თეირანის უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტზე შეექმნათ და გამოეფინათ თავიანთი ნაშრომები. მართალია, ანონსი ახსენებს, რომ რამდენიმე ნაშრომი მხოლოდ გერმანიის კულტურულ მეტროპოლში გამოიფინება, მაგრამ ის, თუ რომელი და რამდენი ხელოვნების ნიმუშია ისეთი, რომლითაც ტკბობა ისლამურ რესპუბლიკაში მხოლოდ სასემინარო ოთახებშია შესაძლებელი, მითითებული აღარაა. გერმანული კულტურის სფეროს კორესპონდენტებს მარტო-ოდენ ის აოცებთ, თუ როგორ წარადგენენ საკუთარ თავს რევოლუციის ეს პირმშონი: »უთხელესი მოსასხამები უფრო უდარდელად თუ ფარავენ მათ ლამაზ მუქ თმებს. მათ აცვიათ ჯინსები ან მუხლებამდე მოკლე შარვლები, შავი აბრეშუმის წინდები და მაღალი ჩექმები. დასავლური პერსპექტივიდან გასაოცარია, თუ რაოდენ თავდაჯერებულად და

ღიად მუშაობს ეს ექვსი ხელოვანი ქალი და ოო-
გორ წარდგებიან ისინი პუბლიკის წინაშე ისეთ
სფეროში, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ
მხოლოდ მამაკაცთა საუფლოდ გვევლინებოდა.
უნდა ვივარაუდოთ, რომ ყოველივე ეს »მთავრო-
ბასთან შეთავსებადი« უნდა იყოს«.²

ასე, ან დაახლოებით ასე, ულერს ნებისმიერი რე-
პორტაჟი ირანული კულტურის შესახებ ევროპულ
გაზეთებში, სადაც თითქმის ყოველთვის ქალის
მდგომარეობაზე აკეთებენ აქცენტს და ძირითადად
გარეგნულობიდან გამომდინარე აფასებენ ვითა-
რებას – თავსაფარი ხომ (ზემოთ »უთხელეს მოსას-
ხამად« მოხსენიებული) ის კრიტიკული ბარომეტ-
რია, რომლის მიხედვითაც, როგორც ისინი ვარაუ-
დობენ, უნდა იზომებოდეს რეპრესიის მაჩვენებე-
ლი ისლამიზმის სკალაზე. ის, რომ გერმანიის კულ-
ტურის მუშაკებს უკვე საერთოდ აღარ აინტერე-
სებთ ქალთა შევიწროვების რეალური ვითარება
ირანში და სანაცვლოდ ვითომდა »სიმბოლური«
კონფლიქტის ფარგლებში არსებულ »ხელოვანთა
განსხვავებულ პოზიციებზე« საუბრობენ, უკვე
გულისხმობს ხელოვნების მიმართ ნებისმიერი
კრიტიკული შინაარსის უკუგდებას.

ირანის კულტურის პოლოტიკოსებს კი ზუსტა-
დაც რომ აწყობთ ამგვარი რეპორტაჟები. ევრო-

2 Welt Kompakt 2007: »Made in Teheran«: Sechs Fotografinnen zeigen ihre Welt, in: Welt Kompakt, 3.12.2007.

პული სურათი პლურალური და სამყაროსადმი
ღია საზოგადოებისა, სადაც დისიდენტურობა
სტილისტურით უსარეკლამონიშნის სახით მჭიდ-
როდაა ინტეგრირებული, ზუსტად შეესაბამება
ირანული კულტურის ექსპორტის მარკეტინგულ
სტრატეგიას. მაგრამ, სანამ ირანული კულტურა
»რევოლუციის პირმშობთან« და არა მის მოწი-
ნააღმდეგებთან – მაგალითად, საზღვარგარეთ
დევნილ ოპოზიციურ ჯგუფებთან და მათ არსე-
ბითად უფრო ნაკლებად ყურადღებულ ნაშრო-
მებთან – იგივდება, მანამ ირანის კულტურული
პოლიტიკა წარმატებული დარჩება.

კულტურის ექსპორტი მოლათა რეჟიმის ერთ-
ერთი ცენტრალური იარაღია, რამდენადაც ის,
რომ სასიცოცხლოდ აუცილებელი ევროპული
შემწყნარებლური პოლიტიკა არ წყდება, სწორედ
რომ კულტურის წარმატებული ტრანსფერის
შედეგიცაა. გასულ წლებში ევროპის ყველაზე
მნიშვნელოვანი კინოფესტივალების თითქმის
ყველა კონკურსში კვლავ და კვლავ გექნებოდათ
საშუალება ისლამური რესპუბლიკის მიერ წარ-
მოდგენილი ნამუშევრებით დამტკარიყავით.
კინოფილმები ხომ უაღრესად წარმატებული
პროპაგანდა შეიძლება იყოს დასავლეთში, რამ-
დენადაც მათი საშუალებით დასავლური პუბლი-
კა წაბიჯ-წაბიჯ იმუშავებს იმუნიტეტს ისლამუ-
რი რესპუბლიკის ბარბაროსული სინამდვილის
შესახებ იმ ცოდნის პირისპირ, რომელიც უკვა-

ლოდ განიდევნება. კინოფილმები შეესაბამება იმ სურვილების პროექციებს, რომლებიც თავად დასავლეთს გააჩნია ირანული საზოგადოების თაობაზე. მარტოხელა ირანელი გმირები თუ ლარიბებისა და მდიდრების დაპირისპირება და-სავლეთის თვალში პროექციულად უპირისპირ-დება ცივილიზაციას, ხოლო ურბანულობა და მოდერნულობა საკუთარი რეგრესიული ნატვრის საპირისპირო პრინციპის ადგილს იკავებს: მო-დერნული სუბიექტურობისაგან გაქცევის პრინ-ციპს.

259

კინო ისლამურ რესპუბლიკაში

ის, რომ სწორედ კინო და მისი გამოყენების მრა-ვალფეროვანი საშუალებები იქცეოდა ისლამუ-რი რესპუბლიკისათვის წარმატებულ მოდელად ინტეგრაციისა და პროპაგანდის საქმეში, 1979 წელს სრულებითაც არ იყო თავისთავად ცხადი. როდესაც თეირანში 1904 წელს პირველი კინოთე-ატრები დაარსდა, ამან ისლამური კლერიკალების პროტესტი გამოიწვია.³ ისლამური რევო-ლუციის პერიოდში კი კინოს, როგორც დასავ-

3 »მათ გაკიცხეს ეს ახალი ხელოვნება როგორც გამხრნელი დასავლური ზეგავლენა და ლმერთის გამოწვევა, რადგანაც იგი შეუბურველ ქალებს აჩვენებდა და ლასციური ცხოვრების წესის პროპაგანდას ენერგა-. Ebbing, Martin 2007: Keine Krawatten! Sie sind westlich und dekadent!, in: Aus Politik und Zeitgeschehen, www.bundestag.de/cgibin/druck.pl?N=parlamannt, 12.1.2008.

ლური დეკადენტურობის ინსტიტუტს, ძველი რეჟიმის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ, რომელსაც აუცილებლად ძველივე საშუალებებით უნდა შებრძოლებოდნენ. სწორედ კინოთეატრები იყო იმ პირველ ობიექტებს შორის, რომლებიც – ბანკებთან ერთად – ისლამური სათნოების დარაჯთა ნგრევის რისხვას შეეწირა: ისინი დაწვეს და დახურეს.⁴ კინოთეატრების საერთო რაოდენობა 1976-1979 წლების პერიოდში 112-დან 89-მდე შემცირდა. კინოს მეპატრონებს ქონება ჩამოართვეს და ზოგიერთს შაპის რეჟიმთან თანამშრომლობისა და »უზნეო ფილმების ჩვენების« საბაბით უჩივლეს კიდეც. მრავალი კინოთეატრი »ისლამის განვითარების ხელოვნების ცენტრად« გადაკეთდა. თუმცა, ოპოზიცია არა იმდენად თავისთავად კინოს ინსტიტუტის, რამდენადაც იმ ზნეობრივი სახის წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელსაც შაპის მმართველობის პერიოდში წარმატებული »ფილმ ფარსი« (სპარსული კინო, მთარგმნ. შენ.) და ჰოლივუდიდან იმპორტირებული ფილმები ამკვიდრებდნენ. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ იმავე რეჟიმმა, რომელიც ებრძოდა კინოს, ხურავდა საპროექციო დარბაზებს და ირანულ კინოპროდუქციას მიწასთან ასწორებდა, საბოლოოდ კინო ფართო-მასშტაბიანი სახელმწიფო მხარდაჭერის მეშვეობით აქცია როგორც თავად ირანში ხელოვნების

4 Mirbakhtyar, Shahla 2006: Iranian Cinema and the Islamic Revolution, London 2006, S. 103.

წარმატებულ ფორმად, ისე მსოფლიოში გავრცე-
ლებულ საექსპორტო პროდუქტად.⁵

უკვე რევოლუციის პერიოდში ისლამის ზო-
გიერთმა აქტივისტმა კარგად გააცნოებირა, რომ
კინო არა მარტო დასავლური დეკადენტურო-
ბის მაუწყებელი იყო, არამედ ისლამური საქმის
პროპაგანდის იარაღადაც შეიძლება გამოყენე-
ბულიყო. აიათოლა ჰომეინიმ განაცხადა, რომ
იგი სრულებითაც არ იყო კინოს წინააღმდეგი,
იგი მხოლოდ და მხოლოდ იმ »მეძავეობას« უპი-
რისპირდებოდა, რასაც კინოში უჩვენებდნენ.⁶
თავის პირველსავე სიტყვაში აიათოლა კინოს
აღმზრდელობით ფუნქციაზე მსჯელობდა. »ლე-
გენდის« თანახმად, კინომედიუმის მიმართ ჰო-
მეინის დადებითი განწყობა გამოიწვია ერთ-ერთ-
მა კინოფილმა, რომელიც ირანში რევოლუციამ-
დე არსებულ სოციალურ სილატაკეს აღწერდა.⁷

261

უკვე 1974 წელს ირანის ახალი ისლამური კინოს
ერთ-ერთ მთავარ გმირად აქტიური ისლამისტი
მოჰამედ მახმალბაფი გვევლინება. მისი თქმით,
კინოს საშუალებით უნდა მომხდარიყო რევოლუ-
ციის იდეალების არაისლამური ზეგავლენების-
გან დაცვა. მისი ფილმები სოციალურ-იდეოლო-
გიურ თემებს ეხება. მაგალითად, »არუსი-ე ხუ-

⁵ იქვე.

⁶ იქვე, გვ. 106.

⁷ Ebbing, 2007.

ბან» (რჩეულთა ქორწილი, 1989) მოგვითხრობს, 262 თუ როგორ ბრუნდება ომში დაჭრილი ირანელი ერაყიდან სახლში და როგორ აღმოაჩენს, რომ იდეალები, რომლებისთვისაც ის იბრძოდა, საზოგადოებაში აღარ ფასდება.⁸ ცხადია, ფილმის კრიტიკის საგანი არის არა თავად ეს იდეალები, არამედ პოსტრევოლუციურ ირანულ საზოგადოებაში მათი განუხორციელებლობა. 80-იანი წლების შუა პერიოდში გაჩაღებული რელიგიური ომი ერაყის წინააღმდეგ სწორედ ის ისტორიული მომენტია, როდესაც ირანის ისლამისტური მოძრაობა რევოლუციის »მონაპოვრის« მარადიული დამკვიდრების გადაწყვეტილებას იღებს და ამის საშუალებად მთელი სახელმწიფოს ისლამური გზით მოწყობას აცხადებს. ისლამისტები იწყებენ სოციალურ პრობლემებზე ყურადღების გამახვილებას, უპირისპირდებიან კორუფციასა და სიღარიბეს; პოლიტიკური ფუნქციონერების კრიტიკას ისინი ისლამზე კიდევ უფრო მეტად რადიკალიზებული დაყრნობის საშუალებით მიმართავენ. ამავე მოძრაობის წევრია დღევანდელი პრეზიდენტი აჰმადინეჟადიც. მახმალბაფის სოციალური კრიტიკა სრულიად ემთხვევა ირანის ისლამურ იდეოლოგიას.

ამიტომაც იქცა მახმალბაფი ისლამური რესპუბლიკის ერთ-ერთ სამაგალითო რეჟისორად და მის საერთაშორისო სარეკლამო აბრად. განსა-

8 იქვე.

კუთრებით ეს განაპირობა იმან, რომ სწორედ მის სახელს უკავშირდება სამაგალითო გარდასახვა ისლამისტი რევოლუციონერისა სოციალური კრიტიკის გამაუღერებელ კინოხელოვნად. თავად მახმალბაფი ამ განსაკუთრებულ პოზიციას იმას უმადლის, რომ იგი ისლამისტ-რევოლუციონერ-თა წრეებიდან გამოვიდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა ისლამური რესპუბლიკის იდეოლოგიუ- 263 რი ორიენტირების შემუშავების საქმეში – ფაქტი, რომელსაც დასავლურ რეცეფციაში სიამოვნებით უგულებელყოფენ.

ირანული კულტურული პროდუქციის ცენზურა და სახელმწიფო მხარდაჭერა

იმისათვის, რომ კინო რევოლუციის იდეალების პროპაგანდის წარმატებულ მედიუმად დამკვიდრებულიყო, ირანში ორი დაწესებულება დაარსდა: »ჰოზე ჰონარი საზრმან-ე თაბლილად-ე ისლამი« (ისლამური პროპაგანდის ორგანიზაციის ხელოვნების განყოფილება) და »ბონიად-ე სინემაიე ფარაბი« (ფარაბის კინოს ფონდი). მათ პატრონაჟს უწევს კულტურისა და ისლამური წინამძღვლობის სამინისტრო, რომელიც მიზანმიმართულად უჭერს მხარს ახალ ირანულ კინოს არა მხოლოდ ირანში, არამედ საექსპორტო პროდუქტად წარმოდგენის კუთხითაც.⁹ ორივე

9 Mirbakhtyar 2006, S. 109.

ინსტიტუტი ფინანსურადაც და იდეოლოგიურა-
დაც არის ჩართული კინოფილმების წარმოე-
ბის მხარდაჭერაში. ძალაშია წინაპირობა, რომ
რეჟისორები ისლამური რეჟიმის იდეოლოგიის
ფუნდამენტზე უნდა იდგნენ.¹⁰ თუმცა, უნდა გა-
ვითვალისწინოთ ისიც, რომ ისლამური პროპა-
განდის ორგანიზაციებში მომუშავე რეჟისორე-
ბი თავიანთი თემებისა თუ მხატვრული გა-
მოხატვის ხერხების და ფორმების შერჩევის
თვალსაზრისით ფართო თავისუფლებით სარგებ-
ლობენ. ცენზურა ირანში არ ნიშნავს იმას, რომ
ხორციელდება მუდმივი და ყოველმხრივი დიქტა-
ტი, არამედ იგი ზოგადი ისლამური მიზნების ფარ-
გლებში ხელოვნების გარკვეულ თავისუფლებას
იძლევა; ამ ისლამური ფუნდამენტის საზღვრებს
მიღმა კი პროფესიონალური კინოწარმობა ირან-
ში საერთოდ შეუძლებელია.

ამდენად, დამუშავებული მასალისა და კინო-
პროდუქციის ყოველი საფეხურის კონტროლის
პარალელურად, ცენზურის ისეთი ფორმაც მოქ-
მედებს, რომლის საზღვარიც – კინოინდუსტრიის
მხარდაჭერის სისტემის ჩარჩოების ფარგლებში
– არამკაფიოა. თუკი ფილმი იდეოლოგიურად
მისაღებია, ასეთი პრივილეგიის მინიჭება ისევე,
როგორც მისი მიზანმიმართული ჩვენება სპეცი-
ფიკური მაყურებლისათვის, გარანტირებულია;
განსაკუთრებით ეს ეხება მის სხვადასხვა ფეს-

10 იქვე, გვ. 108.

ტივალებზე წარდგენას. ირანში შეუძლებელია კინოთეატრებში ფილმის გაშვება, თუკი ის წინასწარ არ იქნება ნაჩვენები »ფაურის კინოფესტივალზე«. ეს ფესტივალი 1981 წელს, რევოლუციის შემდეგ დაარსდა და 1984 წლიდან ირანის უმნიშვნელოვანეს კინოფესტივალს წარმოადგენს; როგორც ასეთი, იგი »ბონიად-ე ფარაბის« კონტროლის ქვეშ იმყოფება. დაფინანსების და კონტროლის მეორე მიმართულებას წარმოადგენს ირანული კინოფილმების მონაწილეობა საერთაშორისო კინოფესტივალების კონკურსებში. აქ პირველ პლანზეა ირანის, როგორც კინოს მწარმოებელი ქვეყნის, რეპუტაციის დამკვიდრება. გარდა ამისა, მართვა ხორციელდება კინოფილმებისა და კინოთეატრების კლასიფიკაციის მეშვეობითაც, რის შედეგადაც კონკრეტულ ფილმებს მხოლოდ კონკრეტული მაყურებელი ნახულობს. ამ კლასიფიკაციის მეშვეობით რეგულირდება ასევე მაყურებელთა აბსოლუტური რაოდენობაც.¹¹

265

ორმაგი რეფერენცია: ევროპა და ირანული კინო

ხშირად ამტკიცებენ, რომ სწორედ ამგვარი სახელმწიფო მხარდაჭერის შედეგად იზრდება კინოფილმების მხატვრული დონე.¹² ასეთი მიღო-

11 იქვე, გვ. 114.

12 იქვე, გვ. 108.

მა განსაზღვრავს ირანული კინოს რეცეფციასაც ევროპაში. ამას ასაბუთებენ იმით, რომ, ცენზურის გამო, უფრო ალეგორიუმებსა და სიმბოლოებზე დაფუძნებული სტილი ჩამოყალიბდა, რომელშიც სიმბოლური და რეალისტური კინოენა ერთმანეთში ირევა და ქმნის სპეციფიკურ მხატვრულ ფორმას, რომელიც სცდება კულტურის სახელმწიფო სააგენტოებისა და ცენზურის მიერ დაწესებულ საზღვრებს.¹³

დავასახელებ ერთ მაგალითს. არსებობს მოსაზრება, თითქოს 90-იანი წლების შუა პერიოდამდე ბავშვის სახე წარმოადგენდა იმ მხატვრულ ხერხს, რომლის მეშვეობითაც – სამყაროს უფრო მიამიტური ხედვის საშუალებით – ირანული სინამდვილის ვითომდა განსხვავებული პერსპექტივით დანახვის შესაძლებლობა იქმნებოდა.¹⁴ არადა ეს, არანაკლებ, იწვევდა სოციალური სინამდვილის რომანტიკულ იდეალიზაციას, როდესაც ირანის თანამედროვე მძიმე სოციალური მდგომარეობა, განსაკუთრებით თეირანში, იფარებოდა და მისი უარყოფა ხდებოდა. ამას მაჟიდ მაჟიდის კინოფილმიც »ბახეპა-იე ასემან« (»ზეცის ბავშვები«) მოწმობს, რომელიც გერმანიაში ეიფორიით იქნა მიღებული და »პოლიტიკური განათლების ფედერალური ცენტრის« მიერაც კი იქნა გავრცელებუ-

13 იქვე, გვ. 161.

14 შდრ. მაგ, აბას ქიაროსთამის »ხანე-იე დოუსთ ქოჯასთ?« (»სად არის ჩემი მეგობრის სახლი?«, 1987), მთარგმნ. შენ.

ლი. ეს ფილმი მოგვითხრობს პოეტურ და ზღაპ-რულ ისტორიას და-ძმაზე თეირანის ღარიბული უპნიდან – მათ ერთი წყვილი ფეხსაცმლის გაყოფა უწევთ. უურნალი »ფილმდინსტი« ხაზს უსვამს »ბავშვების დაუმახინჯებელ თვალთახედვას« და აქებს იმას, რომ ნაჩვენებია, »თუ რარიგ რთული შეიძლება აღმოჩნდეს ღარიბებისთვის თვით ბა-ზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც კი.

267

ფილმი საქმიანად და მელოდრამატიკის გარეშე გვიქმნის შთაბეჭდილებას უმძიმეს ყოფასა და ტოტალიტარულ ცხოვრებაზე »ღმერთის სახელ-მწიფოს« ოცნლიანი არსებობის შემდეგ და, ასევე, იმ ზოგადადამიანურ ასპექტებზე, რომლებიც ამას უპირისპირდებიან¹⁵. ასეთი ინტერპრეტაციები უკვე ევროპული პროექციების შედეგია. სოცია-ლური სინამდვილის რომანტიკულად დამუშავე-ბულ მასალაში სოციალური კრიტიკის მომენტე-ბი გამქრალია. მართალია, მასალა შეესაბამება დასავლეთის პუბლიკის სურათს ირანის შესახებ, მაგრამ მას არაფერი აქვს საერთო იმ ირანელთა სასიცოცხლო სამყაროსთან, რომელნიც ირანის რეჟიმის ქვეშ სინამდვილეში იტანჯებიან. მაშასა-დამე, კინოფილმებს ორმაგი რეფერენცია ახასია-თებთ. ეს ესთეტიკური სტრატეგია განსაკუთრე-ბით 1987-1997 წლებში გამოიკვეთა – პერიოდში, როდესაც ირანის კინომ მსოფლიო აღიარება მოი-პოვა. ეს ორმაგი რეფერენცია ყოველთვის ორიენ-ტირებულია დასავლურ პროექციებზე და აღტა-

ცებაზე ირანული კინოთი. იგი ისეთ რეცეფციულ დამოკიდებულებას აკმაყოფილებს, რომლის მო- თხოვნილებაც კრიტიკის და სუბვერსიის მიმართ სწორედ რომ საპირისპიროს გულისხმობს: სა- ხელდობრ, იდეოლოგიურ თანხმობას სოციალური სინამდვილის რომანტიზაციასთან და ცივილიზა- ციის კრიტიკის მსოფლხედვასთან.

268

მართლაც, 90-იან წლებში მრავალმა კინორეჟი- სორმა დაიწყო კინოფილმების მიზანმიმართულად საერთაშორისო ფესტივალების გაქირავებისათვის წარმოება, რაც ისლამური კულტურის უწყებების დაფინანსებითა და მხარდაჭერით ხორციელდე- ბოდა. საინტერესოა, რომ ამ პერიოდში გამომუ- შავდა, ფორმულის სახით, თითქმის სტერეოტიპუ- ლი ფორმის მქონე ტიპიური ნაციონალური სტი- ლი. იგი იძლეოდა ნიმუშს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იყო ირანში ისეთი საკონკურსო ფილმების შექმნა, საერთაშორისო ფესტივალებზე წარმატებას რომ მიაღწევდნენ.¹⁶ მათი პოეტიკა, ადამიანურობა და ისტორიების ინდივიდუალო- ბა სწორედ ამ სქემის შემადგენელი ნაწილია და, ამდენად, როგორც ასეთი, ევროპული სავტორო კინოს მოდერნისტული და თვითრეფლექსიური სტილის დაცემის პროდუქტს წარმოადგენს. ირა- ნული კინოფილმები კი, სწორედ კინოხელოვნე- ბის ნიმუშების სახით, სინამდვილის ბინდბუნდით მოცვის ტენდენციას შეესაბამება და, ამდენად,

16 Mirbakhtyar 2006, S. 162.

კარგადაც ემსახურება ირანული რეჟიმის საერთა-შორისო პროპაგანდას, ავრცელებს რა მცდარ წარმოდგენებს ადამიანების და მათი ცხოვრების წესის შესახებ.¹⁷ ამ სტრატეგიის წარმატებას მოწმობს თუნდაც ის შეხმატკბილებული დამოკიდებულებაც, რომელსაც ამჟღავნებენ კულტურის სფეროში მომუშავე გერმანელი უურნალისტები, მაგალითად, ირანში მომუშავე კორესპონდენტი მარტინ ებინგი. წერილში »პოლიტიკისა და თანამედროვე ისტორიის საკითხები« იგი წერს: »90-იანი წლების დასაწყისიდან ირანული კინოს საერთაშორისო აღიარებამ კინორეჟისორებს უკანასკნელ წლებში საბოლოოდ შეუქმნა გარკვეული თავისუფალი სივრცე. არა მარტო ნებისმიერი აკრძალვა და ნებისმიერი ჩარევა უმაღ ახალ ამბად იქცევა მთელი მსოფლიოს კინოსივრცეში [და ეს მაშინ, როდესაც გერმანიაში ქვით ჩაქოლვებისა თუ საჯარო ეკზეკუციების ფაქტებსაც კი არ თვლიან ახალი ამბის ღირსად, ტ. ე.], არამედ თავად რეჟიმიც კმაყოფილებით ადევნებს თვალყურს იმას, რომ ადგილობრივი კულტურის პროდუქტი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც აღწევს წარმატებას. თვით კონსერვატიული გაზეთებიც კი, სხვა შემთხვევებში »დასავლეთიზაციის« წინააღმდეგ რომ ილაშქრებენ, დაწვრილებით იუნიებიან ფესტივალებზე ნებისმიერი ირანული კინოფილმის გამოჩენას და თითოეულ მოგებულ ჯილდოს ზეიმობენ«.¹⁸

269

17 იქვე.

18 Ebbing 2007.

კულტურის თავისუფალი სივრცეები?

თავისუფალი სივრცე არა საერთაშორისო აღი-
არების გამო, არამედ რეჟიმის პოლიტიკური ნე-
ბისა და მისი ინსტიტუტების საფუძველზე არსე-
ბობს – სწორედ იმის გამო, რომ ახალი ირანული
კინოს საერთაშორისო აღიარება რეჟიმის და მისი
270 რეპრესიული მეთოდების ღია კრიტიკას აპრო-
ლებს და, ამდენად, ხელს უწყობს რეჟიმის გა-
დარჩენისათვის აუცილებელ აფიზმენტს¹⁹ კულ-
ტურის სფეროში. ამ თვალსაზრისით ცოტა რამ
თუ შეიცვალა ხშირად ხსენებულ ე.ნ. განმუხტვის
პერიოდში, 1997 წლის შემდეგ, მოჰამედ ხათამის
პრეზიდენტობის დაწყებიდან, რომელსაც, განსა-
კუთრებით გერმანიაში, »რეფორმატორად« იხსე-
ნიებენ. ზედმეტია იმაზე მინიშნება, რომ განსხვა-
ვებები ე.ნ. რეფორმატორებსა და »პარდლაინე-
რებს« (მეცნიერებების, მთარგმნ. შენ.) შორის »ეხება არა მიზანს, არამედ ამ მიზ-
ნის მისაღწევ საშუალებებსა და გზებს«.²⁰ ხათა-

19 შემწყნარებლური პოლიტიკა საერთაშორისო კონფლიქტებ-
ში (Appeasement), როდესაც გასაჭირის აღიარება და დაქმაყო-
ფილება ხდება რაციონალური მოლაპარაკებითა და კომპრომი-
სით ძვირადირებული, სისხლიანი და სარისკო შეიარაღებული
კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით. ტერმინი, ისტორიუ-
ლი თვალსაზრისით, ხშირად გამოიყენება ნაცისტური გერმა-
ნიის მიმართ 1937-1939 წლებში განხორციელებული ბრიტა-
ნეთის პრემიერ მინისტრის, ნევილ ჩემპერლენის, პოლიტიკის
აღსანიშნავად. (იხ. პ. კენედი, სტრატეგია და დიპლომატია.
1870-1945. ლონდონი 1983, მთარგმნ. შენ.)

20 Grigat, Stephan 2008: Kalkül und Wahn im Iran, in: Die Presse,

მის მმართველობის პერიოდშიც კი არც ისლა-
მური რესპუბლიკის რეპრესიული აპარატები,
არც მათი ორიენტაცია დასავლურ სამყაროსა
და, უპირველეს ყოვლისა, ისრაელის, როგორც
»სიონისტური წარმონაქმნის«, წინააღმდეგ არ
დამდგარა კითხვის ქვეშ. საქმე ეხებოდა მხოლოდ
და მხოლოდ ისლამური საზოგადოების მოდერ-
ნიზაციას და ისეთი პროფესიონალი მწარმოე-
ბლების, განსაკუთრებით, ქალების, ინტეგრაცი-
ას ისლამური სახელმწიფოს პროექტებში, რომ-
ლებიც ნაწილობრივ ზედმეტად დიდი რეპრესიის
შედეგად გამორიცხულნი იყვნენ მისი რიგები-
დან. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, ისეთი
ფილმი, როგორიცაა »ჯაფარ ფანაჰის დაირე«
(»წრე«), რომელიც ხშირად მოჰყავთ ხათამის
განმუხტვის პოლიტიკის ერთ-ერთ ნიმუშად, არ-
სებითად სხვა მნიშვნელობას იძენს, ვიდრე ამას
დასავლეთში მისი კრიტიკული რეცეფცია და,
იმავდროულად, ირანში მისი აკრძალვა გვაფი-
ქრებინებს. ფილმი ეხება ციხიდან გამოშვებულ
ორ ქალს, რომლებიც თეირანის ქუჩებში აწყ-
დებიან სქესობრივი სეგრეგაციის შემთხვევებს:
იძულებას ატარონ საბურველი, პროსტიტუ-
ციისთან ბრძოლას და რეპრესიას რევოლუცი-
ური გვარდიის მხრიდან. ფილმის ეპიზოდები
შეიძლება წავიკითხოთ როგორც ქალის ისლამურ
საჯარო სივრცეში გაწევრიანებისაკენ მოწოდე-
ბა. იგი იწყება სცენით სამშობიარო სახლში, რაც

წარმოადგენს მინიშნებას ქალების როლზე მო-
ცემულ საზოგადოებაში – მათ რეპროდუქციის
ფუნქციაზე დაყვანაზე. ხოლო პროსტიტუციის
ჩვენება, რასაც ასე მრავალგზის აქებდნენ პრე-
საში, მას იმავდროულად საპირისპირო ხატად
აქცევს, ისლამური საზოგადოების მიმართ გა-
მოთქმულ გაფრთხილებად – არ ჩაუგდონ ქა-
ლები იძულების გზით ხელში გარყვნილობას.
272 უშუალო ძალადობას ქალების მიმართ მხოლოდ
ოჯახის კერძო სივრცეში ვხვდებით, ხოლო ის-
ლამური საზოგადოების კრიტიკულად გადმოცე-
მული შეზღუდვები მარტოოდენ ბურკას (და არა
თავსაფარს) და საზოგადოებაში თამბაქოს მოწე-
ვას ეხება. ის, რასაც დასავლეთის მაყურებელი
კრიტიკად აღიქვამს, სრულიად შეესაბამება ირა-
ნის ისლამის მოდერნიზაციას სქესობრივი აპარ-
ტეიდის კუთხით – მიუხედავად იმისა, რომ ირანში
ეს კინოფილმი საბოლოოდ თავად ხათამის დრო-
საც კი არ უჩვენებიათ და მხოლოდ დასავლეთის
პუბლიკისათვის იქნა წარმოებული.

უკვე დიდი ხანია, რაც ირანის კინოხელოვნებაში სწორედ რომ სქესობრივი თემა იქცა კონფლი-
ქტის სტერეოტიპულ ობიექტად.²¹ დასავლეური პერსპექტივა ქალთა წარმოსახვაზე ასახავს იმ
ვითარებას, რომ ქალები ირანში ისლამურ იდე-
ოლოგიაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.
ხშირად კონფლიქტი გამოიყენება მოწოდებად

ისლამური საზოგადოების მოდერნიზაციისაკენ და არა მისი კრიტიკისაკენ. ამის ნათელი ნიმუშია ჯაფარ ფანაჰის ფილმი »ოფსაიდი«, რომელმაც 2006 წელს »ბერლინალეს« კინოფესტივალზე გაიმარჯვა. ეს ფილმი მოგვითხრობს ფეხბურთის მოყვარულ ახალგაზრდა ქალებზე. ფილმი სრულიად ღიად განიხილავს მათ სქესობრივ პრობლემას – გოგონები ბიჭების ტანისამოსს იცვამენ, რათა შეაღწიონ ფეხბურთის სანახავად სტადიონზე. ეს ფილმი თითქოს სქესობრივი სეგრეგაციის გადალახვის აუცილებლობაზე მიგვანიშნებს, მაგრამ იმავდროულად სავსებით ეთანხმება ისლამური ტანისამოსის კოდს: თავზე მოხვეული ირანის ეროვნული დროშა ქალის თავსაფრად იქცევა. საერთოდ, მთელი ფილმის განმავლობაში მაყურებლისათვის ქალები იდენტიფიცირებული რჩებიან ასეთებად, რასაც დასავლეთში სქესობრივ როლებთან თამაშად განმარტავენ. მაშასადამე, ეს არ არის ისლამური რესპუბლიკის სქესობრივი სეგრეგაციის კრიტიკა. პრინციპული საკითხები ფილმში არ განიხილება და მათზე მინიშნებაც კი არ კეთდება. მისი აშკარა კრიტიკული შინაარსი მიმართულია იმის-კენ, რომ ქალებს, მხოლოდ მამაკაცების გამო, არ შეუძლიათ ფეხბურთის სანახავად მისვლა და, შესაბამისად, არ შეუძლიათ ნაციონალური მნიშვნელობის მქონე მოვლენაში მონაწილეობა. ფილმი მხოლოდ და მხოლოდ საჯარო ცხოვრება-ში ქალების თანასწორი მონაწილეობის საკითხს

წამოწევს – სქესობრივი სეგრეგაციის წინაპირობის შენარჩუნებით. ყველა კონფლიქტი საბოლოოდ დაიძლევა ნაციონალური ზეიმის აუიოტაჟში ფუნდამენტური კონფლიქტის, სქესობრივი აპარტეიდის, მოუხსნელად. ყველაფერი ისეა წარმოდგენილი, თითქოს, პირიქით, სპონტანური მასა უპირისპირდება ინსტიტუციონალიზაციას და კინოფილმის სუბვერსიულ ქალებს სულაც არ უნდა ეშინოდეთ ისლამური სახელმწიფოს რეპრესიული ორგანოებისა. საზოგადოდ, ქროსდრესინგის (მიღებული სქესობრივი კონვენციების დარღვევით ჩატარებული საკმაოდ გავრცელებულია და დიდ როლსაც თამაშობს. გასართობი ფილმების პროპაგანდისტული გამოყენების ტიპიური ნიშანია ის, რომ ისინი საზღვრების გადალახვასა და წესების რღვევას ტოლერანტულად ეკიდებიან, მაგრამ საბოლოოდ კვლავ და კვლავ იდეოლოგიურად კორექტულ წესრიგს აღადგენენ.²²

მაგალითად, დავუდ მირ ბალერის ფილმში »ადამ ბარფი« (»თოვლის ბაბუა«) კაცი ქალად გადაიცვამს, რათა მოიპოვოს აშშ-ის »გრინ ქარდ«-ი. ხათამის პერიოდის ირანულ რეჟიმთან კონფორმისტულობა ამ ფილმში, უპირველეს ყოვლისა, მის ანტიამერიკულ დამოკიდებულებაში მუდავნ-

22 ამ ხერხს ოსტატურად იყენებდნენ ნაცისტები ჰაინც რიუმანის არაერთ გასართობ ფილმში, რომლებიც დღესაც პროპულარობით სარგებლობენ და მათ ხშირად უჩვენებენ ტელევიზიით.

დება. საპოლოოდ ჰეტეროსექსუალური წესრიგი კვლავ აღდგება »წმინდა და უმწიკვლო დონისის« სიყვარულში, მაშასადამე, იდეოლოგიურად ჰე-გემონიური ქალის სახის აღიარებაში; ისევე, რო-გორც იმ შეხედულებაში, რომ »ამერიკაში კონ-კურენციით განსაზღვრული თავისუფლება არც ისე განვითარებულია«. ფილმის ჰეფი ენდი ქორ-ნინება და ირანში დაბრუნებაა. »აშშ-ით დაავა-
დება« იყო გზიდან დროებითი გადახვევა. ფილმი 275
თავიდან ბოლომდე ცდილობს შეინარჩუნოს როგორც ნაციონალისტური, ისე სქესობრივი წესრიგი. ქროსდრესინგი აქ ემიგრანტების მამა-კაცობის დაკარგვასთან კონოტირებისათვის გა-მოიყენება«.²³

ასე ემსახურება ორმაგი რეფერენცია ირანში არ-სებულ დავას ისლამური რესპუბლიკის მოდერ-ნიზაციის შესახებ და, ამავე დროს, ინარჩუნებს მის იდეოლოგიურ და რელიგიურ პრინციპებს. დასავლეთის პუბლიკისათვის კი ეს ფილმები კულტურული პლურალიზმისა თუ სუბვერსიუ-ლი თავისუფლების საბუთად წარმოჩნდება, რაც შემდეგ საკუთარი შემწყნარებულური პოლიტი-კისა და ე.ნ. კულტურული დიალოგის დამოკიდე-ბულების სასაარგებლო არგუმენტად გამოიყენება. ასევე, ხდება ამგვარად პროეცირებული დისიდენ-ტური დამოკიდებულების პოყოფა, რადგანაც და-სავლეთის მაყურებელს თავად სურს სუბვერსიუ-

23 Mirbakhtyar 2006, S. 328f.

ლად და კრიტიკულად და იმავდროულად ნაციონალური პროექტის ნაწილად ყოფნა. განსხვავება იქცევა ფეტიშად, ხოლო ირანი, როგორც »სხვა«, კრიტიკის დედაბოძად, რომელსაც განმანათლებლობის მაკრიკიტიკებელი ევროპელი სუბიექტი სხვაგვარად, თუ არა ანტიდასავლურად და ანტი-ცივილიზებულად, ვერ იაზრებს. ასე აკონსტრუირებს ევროპული ხედვა ირანის ოპოზიციურ კინოს »უცხოსა« და »ეგზოტიკურის« სახით და სწორედ რომ უარყოფს ნებისმიერ კავშირს მის საკუთარ სასიცოცხლო სამყაროსთან: მოდერნულობასა და ცივილიზაციასთან. ამიტომაც მხოლოდ იმას ვარაუდობენ ავთენტურის, ნამდვილის სახით, რაც ამ კრიტერიუმებს აქმაყოფილებს.²⁴ მაგალითად, სარა მერში წერს »ირანელ ქალებზე კამერის წინ და უკან«: »რაში გამოიხატება მრავალგზის მოხმობილი კონფლიქტი ტრადიციასა და მოდერნულობას შორის ირანულ კინოში? ერთი შეხედვით, შეიძლება პარადოქსულად მოგვეჩვენოს: რევოლუციამდე ქალებს უმეტესწილად საკუთარი ინიციატივის ნაკლებად მქონე დიასახლი-სებად წარმოსახავდნენ [...]; 1979 წლის შემდეგ კი ქალის მთავარი როლები მეტწილად მოდერნული ხასიათსაა: ქალები (თუკი მათ საერთოდ ვხედავთ) პროფესიულ საქმიანობას ეწევიან, იბრძვიან და დამოუკიდებელი არიან«.²⁵

24 Kamalzadeh, Dominik 2006: Die uneingelösten Versprechen der Revolution.

25 Mersch, Sarah 2006: Ein Platz in der Gesellschaft. Iranische Frauen

თუ რამდენად სცდება ეს ალქმა ირანში არსებულ
სინამდვილეს, ჩანს არა მარტო ისლამური რევო-
ლუციის შემდეგ სქესობრივი სეგრეგაციის პირო-
ბები ქალების ვითომდა უფრო მაღალ დაფა-
სებაში (რაც აბსურდულად წარმოაჩენს მერშის
ვარაუდს, რომ ქალის ახალი სახე »მთავრობის
ოფიციალურ ხაზს [...] დიამეტრალურად უპირის-
პირდება«), არამედ ირანიდან განდევნილი ირა-
ნელი კინორეჟისორი ქალის, ფათიე ნალიბზადეს,
პრინციპულ შენინაალმდეგებაშიც. ნალიბზადე
აღნიშნავს, რომ რაც არ უნდა პარადოქსულად
უდერდეს, დღეს ირანში სწორედ რომ მხოლოდ
კერძოსფეროა ის უკანასკნელი თავშესაფარი, სა-
დაც შესაძლებელია შედარებითი თავისუფლება.

277

ყოველივე ის კი, რაც ირანული კინოთი ევრო-
პულ აღტაცებას ეწინაალმდეგება, მხატვრული
პოზიციების დაპირისპირებაში უადგილოდ უნდა
დარჩეს. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება იმ კი-
ნორეჟისორ ქალებსა და კაცებს, ვინც ირანის
საკუთარ ხედვას განდევნილი პიროვნების პერს-
პექტივიდან გამოხატავენ. სწორედ დევნილი კი-
ნორეჟისორები, რეჟიმის მიმართ თავიანთი კრი-
ტიკული დამოკიდებულების ძალით, ეჭვის ქვეშ
აყენებენ »დასავლეთის« პოზიციას. მათთან ხომ
უფრო პირადულ კინოპორტრეტებს ვხვდებით:

vor und hinter der Kamera, in: film-dienst 20/2006, S. 11. — ასეთი
შეფასება მიესადაგება, მაგალითად, აპას ქიაროსთამის ფილმ-
საც »Ten« (»ათი«, 2002), მთარგმნ. შენ.

მაგალითად, ასფარ სოფია შაფიის ფილმი »ჩემი ოჯახი თეირანში«; ან პოლიტიკური ოპოზიციონერების ფილმები, მაგალითად, »თავსაფარი როგორც სისტემა – გვაგიუბენ თუ არა თმები«, რომლის ავტორებიც არიან შინა ერლევეინი, ფათიე ნალიბზადე, ბეტინა ჰოპაუსი და მერალ ელი; ან, მაგალითად, ფილმი »ექსაილ ფემილი მუვი« (»დევნილი ოჯახის ფილმი«), სადაც ნათლად ვხედავთ ღია დაპირისპირებას ევროპაში დევნილთა და მოლათა დიქტატის ქვეშ მყოფთა ცხოვრებას შორის. ფილმის რეჟისორი არაშ თ. რაიჭი, დღეს ჯერ კიდევ ირანში მცხოვრები ნათესავების მიმართ მოსალოდნელი რეპრესიების შიშით, ამჟამად ამ ფილმს საჯაროდ ვეღარც უჩვენებს.

ევროპულ-ირანული კოპროდუქციები

ევროპაში აღტაცებით აღქმული ირანული საავტორო კინოფილმები სინამდვილეში ირანული კინოთეატრების შემოთავაზების მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს. უდიდესი ნაწილი ირანში ყოველწლიურად შექმნილი დაახლოებით 80 კინოფილმისა არის გასართობი ან ეხება ისეთ თემებს, როგორიცაა რელიგიური გამოღვიძება ან რევოლუციის მონაპოვრები. კინოს გარდა, ირანული სახელმწიფო ტელევიზიაც ასრულებს თავის ფუნქციას გაავრცელოს იდეოლოგიური და რელიგიური პოზიციები. აქაც, ასევე, ვხვდე-

ბით ორმაგ რეფერენციას, განსაკუთრებით, მნიშვნელოვან, საერთაშორისო ყურადღების ცენტრში მოქცეულ ნამუშევრებში. 2008 წლის ოქტომბერში ირანელი მაყურებელი აღაფრთოვანა ტელესერიალმა, რომელიც ევროპაში გაკვირვებით მიიღეს: »განედი: ნული გრადუსი«. ოცდაათი ნაწილისაგან შემდგარი ეს სერიალი არის, ასე ვთქვათ, ირანული ვერსია ამერიკული 279 სატელევიზიო სერიალისა »ჰოლოკოსტი« მართალია, მას სრულიად საპირისპირო მიზანმიმართულება აქვს. ირანელის ისტორიას პარიზში, რომელიც ცდილობს დეპორტაციისაგან გადაარჩინოს ებრაელები და საბოლოოდ ებრაელი ქალი შეუყვარდება, თავისი »მეორე მხარეც« აქვს. მოჰამედ რეზა ქაზემი აკრიტიკებს »განედი: ნული გრადუსის« გადაჭარბებულ ქებას დასავლურ მედიაში, მაგალითად, »უოლ სტრიტ ჯორნალის« ვარაუდს, თითქოს ირანულ მთავრობას ამ სერიალის მეშვეობით ირანში ებრაელების ხატის გაუმჯობესება სურდეს. ქაზემი მიუთითებს იმაზე, რომ »ჩართვის მაღალი კვოტების მქონე ჰიტის ეგზოტიკური ფასადის უკან ჰოლოკოსტის უარმყოფელებს შორის ფართოდ გავრცელებული თეზისი იმალება. ამ თეზისის თანახმად ებრაელი სიონისტები კოლაბორაციას ეწეოდნენ ადოლფ ჰიტლერთან, რათა ებრაული სახელმწიფოს დაარსების საკუთარი სურვილი სინამდვილედ ექციდათ«.²⁶

26 Kazemi, Mohammad Reza 2007: Verschwörer als Betörer. Ira-

ამდენად, სერიალი სრულებითაც არ უპირისპი-
რდება სახელმწიფოს მიერ ჰოლოკოსტის ოფი-
ციალურ ინსტრუმენტალიზაციას, რასაც თავად
ირანის პრეზიდენტი საჯაროდაც გამოთქვამს
პირიქით, სერიალი ისრაელის დელეგიტიმაცი-
ას უწყობს ხელს და ამას სწორედ ჰოლოკოსტზე
მითითების მეშვეობით აკეთებს. ამგვარად, »გა-
ნედი: ნული გრადუსი«, რომლის კონცეფციაც
უკვე ხათამის მთავრობის პერიოდში შეიქმნა,
სულ დიდი, ირანში არსებული ანტისიონისტუ-
რი მსოფლხედვის მოდერნიზაციად შეიძლება
ჩაითვალოს – გერმანულ მოდელზე დაყრდნო-
ბით, განახორციელოს ისრაელისა და აშშ-ს დე-
ლეგიტიმაცია. სწორედ შოაზე მითითებით, »ჰო-
ლოკოსტის სერიალიც« გვიჩვენებს მხოლოდ
იმას, რომ ირანში სახე იცვალა სტრატეგიამ და
სრულებითაც არ მომხდარა ფუნდამენტური
ცვლილება სახელმწიფოს ოფიციალურ პოზი-
ციაში ისრაელთან დამოკიდებულების მხრივ.
ამიტომაც არაა გასაკვირი, როდესაც ისეთი
ცნობილი ირანელი ჰოლოკოსტის უარმყოფელი,
როგორიც არის ადოლა შაპბაზი, სერიალის ტიტ-
რებში »ისტორიულ კონსულტანტად« სახელდე-
ბა.²⁷ ვითარების უბრალოდ გამარტივება, ტრი-
ვიალიზაციაა ის, როდესაც მარტინ ებინგი სე-

nische Holocaust Serie, in: Sandra Schäfer u.a. (Hg.) Kabul/Teheran 1979ff. Filmlandschaften, Städte unter Stress und Migration, Berlin, S. 308-316.

27 იქვე.

რიალის რეჟისორის, ჰასან ფათის, შემთხვევაში იმაზე მსჯელობს, რომ იგი »თავისი კარიერის დასრულების« შიშით იძულებული იყო »სახელმწიფო ხაზთან« »კომპრომისებზე« წასულიყო. ებინგი იცავს ფათის: იგი, ებინგის სიტყვებით, არის პირვენება, »რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, ისტორიული ამბის მოთხრობა სურს«.²⁸ ებინგთან საუბარში თავშეკავებულობა ფათიმ სხვა შემთხვევაში ნათლის მომფენი ღიაობით შეცვალა: »ისტორიული საბუთები გვიჩვენებენ, რომ ნაცისტურ მსხვერპლთა უმრავლესობა ის ებრაელები იყვნენ, რომლებიც პალესტინის წინააღმდეგ გამოდიოდნენ«.²⁹ როგორც ისლამურმა, ისე მთავრობასთან შეხმატკაბილებულმა გაზეთებმაც მშვენივრად იცოდნენ, თუ როგორ უნდა განემარტათ სერიალის მთავარი გზავნილი. მაგალითად, »პარდლაინერების« გაზეთი »ქაიჰანი« ხაზს უსვამს: »Nazism [is] a parallel to Zionism« (»ნაციზმი სიონიზმის პარალელია«).³⁰

281

კარგ ებრაელებად და ბოროტ სიონისტებად დაყოფა მთავარი გმირებისთვის სახელების შერჩევაშიც კი იჩენს თავს. ასე, თეოდორ სტარკი

28 Grote, Tom /Martin Ebbing 2007: Holocaust als Quoten-Hit im Iran. Serie im staatlichen Fernsehen zeigt Judenverfolgung, in: dradio.de, 1.10.07 (www.dradio.de/dkultur/sendungen/kulturinterview/675911.html, letzter Abruf 12.1.08).

29 Kazemi 2007.

30 Kantz, Rachel /Miriam Nissimov 2008: Iranian state TV produces series on the Holocaust, in: Jerusalem Post, 13.1.2008.

ადვილად შეიძლება იქნეს მხილებული სიონისტად, არა მარტო თანამედროვე სიონიზმის დამაარსებელ თეოდორ ჰერცლის სახელთან პარალელის, არამედ უღერადი გვარის – »სტარკის« (ძლიერი, მთარგმნ. შენ.) გამოც. »კარგ« ებრაელს, შმუელ ვაისსაც, მეტყველი სახელი აქვს. გვარს »ვაისი« (თეორი, მთარგმნ. შენ.), განსაკუთრებით დასავლური პუბლიკისათვის, არა მხოლოდ კონტაცია აქვს სიწმინდესთან, არამედ იგი პირდაპირ მიანიშნებს იმავე გვარის მქონე ოჯახზე ამერიკული სატელევიზიო სერიალიდან »ჰოლოკოსტი«, რომელიც ებრაელების მსხვერპლის სიმბოლოდ იქცა. ასე იყენებს »განედი: ნული გრადუსიც« ცნობილ ორმაგ რეფერენციას და განზრახ თამაშობს დასავლური ისტორიული და გასართობი ტელევიზიოს კოდებითა და კონვენციებით. მთავარი გზავნილის პირისპირ, რომელიც ისრაელის დელეგიტიმაციასა და »სიონისტური მსოფლიო მტრის« დასახელებაში მდგომარეობს, თვით ისლამური ტანსაცმლის კოდიც კი უკანა პლანზე იწევს – ქალებს ეძლევათ უფლება (ისტორიული სიტუაციიდან გამომდინარე) თავსაფრის გარეშე გამოჩენენ ფილმში. ფაქტი, რომელიც ევროპელი კრიტიკოსების აღტკინებას იწვევს. »ევროპის შუაგულში, საფრანგეთსა და უნგრეთში, ევროპელი მსახიობების აქტიური მონაწილეობით გადაღებულ სერიალს« »განედს: ნული გრადუსი« თავისუფლად შეიძლება დავარქვათ ირანულ-ევროპული კოპროდუ-

ქცია.³¹ რეუისორ ფათის უკვე განცხადებული აქვს, რომ პროდუქცია გამიზნულია სატელევიზიო ბაზრისათვის ირანის ფარგლებს გარეთაც. ამდენად, სერიალი აღმოჩნდება დახვეწილ მცდელობად, ირანის ანტისრაელური იდეოლოგია ირანულ-ევროპული კულტურის ტრანსფერის სახით ფართოდ გავრცელდეს.³²

283

ტობიას ებრეები
თარგმანი გერმანულიდან: დევი დუმბაძე

31 Kazemi, 2007.

32 Kantz /Nissimov, 2008.

საგას სხვა გამოცემები:

ჰანს ბელერი – კინომონტაჟის ასაერთები

დასავლეთში ფართოდ გავრცელებული, შესავალი ხასიათის მქონე კინოსამონტაჟო სახელმძღვანელო ტექსტი, სადაც გაანალიზებულია აქტუალური სამონტაჟო მოდელები, ცნებები და რეჟისორთა სპეციფიკური სტილები: ეიზენშტეინი, ბუნუელი, ჰიჩკოკი, გოდარი, ტარკოვსკი, კუბრიკი, ჯარმუში და სხვა.



გამოცემას ახლავს კინოსამონტაჟო ცნებების განმარტებითი ლექსიკონი; კადრის სიდიდეთა მაჩვენებელი და 180 გრადუსის პრინციპის ამსახველისქემები.




www.goethe.de/ins/geo/ausstausch/index.htm

ვალტერ ბენიამინი – ხელოვნების ნიმუში

მკითხველს პირველად ეძღვევა საშუალება გაეცნოს ქართულ ენაზე ცნობილი ფილოსოფოსისა და კულტურის მკვლევრის, ვალტერ ბენიამინის (1892-1940), ორ ნაშრომს: »ხელოვნების ნიმუში მისი ტექ-ნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში« (1935-36) და »ისტორიის ცნების შესახებ« (1940).

პირველი წერილი ხელოვნების ნიმუშის »აურის« და კარგვის ახსნას გვთავაზობს. მან განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა 60-იან წლებში, როცა იქცა მოწოდებად, ხელოვნება გამოეყენებინათ სოციალურ-პოლიტიკური ემანსიპაციის მიზნით. თეზისები »ისტორიის ცნების შესახებ« აჯამებს ავტორის თანამედროვე პრიოდის ბჭობას ისტორიული მატერიალიზმის დანიშნულებაზე.



ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე პირთა გერ-
მანული ასოციაცია – რჩევები და ხერხები – როგორ
ვმართოთ »შემლილ-ობა«?

»მეგზური« განკუთვნილია ფსიქიატრიასთან გამოც-
დილების მქონე ადამიანებისა და მათი ახლობლებისათ-
ვის, რომლებიც კრიზისის დროს და მის შემდეგ მხარ-
ში უდგანან ამ პიროვნებებს. აქ მოცემული რჩევები
საშუალებას გვაძლევს ინდივიდუალურად და შინაუ-
რულად მოვეკიდოთ ამ მდგომარეობას; გვეხმარება,
შეძლებისდაგვარად ფსიქოტროპული წამლების გარეშე,

ორგანიზმისადმი ზიანის
მიყენების გვერდის ავ-
ლით, მოვლენების მარ-
თვასა და მყუდრობისა
და სტაბილურობის მო-
პოვებაში.

რჩევები და ხერხები – როგორ
ვმართოთ „შემლილ-ობა“?




ტექსტს ახლავს ფსი-
ქიატრ თემურ იოსება-
ძის ბოლოსიტყვაობა და
დამხმარე ორგანიზა-
ციათა საკონტაქტო ინ-
ფორმაცია.



Bpø

რეზო კვესელავა - მოგონებები ჩართველ კინემატოგრაფისტებზე


ქართველი კინოდრამატურგის რეზო კვესელავას სამე-
მუარო წერილების კრებულში »მოგონებები ქართველ
კინემატოგრაფისტებზე« ავტორი იხსენებს: თენიგიზ
აბულაძეს, აკაკი ბაქრაძეს, სულიკო უღენტს, მიხეილ
კვესელავას, მიხეილ კობახიძეს, კოტე მიქაბერიძეს,
ალექსანდრე რეხვიაშვილს, სერგო ფარაჯანოვს, ოთარ
იოსელიანს, დორე ხინთიბიძესა და სხვებს.



გამოცემაში წარმოდ-
გენელია ქართველ კი-
ნემატოგრაფისტთა
უნიკალური ფოტო-
ები ავტორის პირადი
არქივიდან და კინო-
სტუდია »ქართული ფი-
ლმის« ორასამდე თა-
ნამშრომლის მოკლე
ბიოგრაფიული მონა-
ცემები.

აკა მორჩილაძე – პაგდატა ინ ჯორჯია

ცალკე გამოცემის სახით პირველად იბეჭდება თანამედროვე ქართველი მწერლის, აკა მორჩილაძის, ესეისტური ტექსტები: «კაგდატა ინ ჯორჯია» (2008) და «პირადი ენციკლოპედია» (2007).



გალე საგასაგან:

- საბჭოთა ავანგარდისტის, კინოდოკუმენტალისტის და დოკუმენტური კინოს თეორეტიკოსის **ძიგა ვერტოვის** ტექსტების კრებული: პდამიანი კინოა-პარატიტი (მანიფესტი, სტატიები, სასცენარო ვარიანტები); დევი დუმბაძის შესავალ წერილთან ერთად: »არასაალბათო თვალის პოეზია – »კინოგლაზის« კონცეფცია ძიგა ვერტოვის ფილმში »ადამიანი კინოაპარატით«.

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში
დამატებითი ინფორმაცია: www.sa-ga.org

სა.გა.ს ნიმუშის ქურდი – ქურდი არ არისო!

სა.გა.ს ნიგნის ქურდი – ქურდი არ არისო!